პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორი

გადაწყვეტილება №გ-1/007/2016

სს „ა“-ს შემოწმების დასრულების შესახებ

ქ. თბილისი **12/01/2016**

პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორის 2015 წლის 08 ოქტომბრის №03/56 და 2015 წლის 07 დეკემბრის №03/70 ბრძანებების საფუძველზე, 2015 წლის 08 ოქტომბრიდან 2015 წლის 30 დეკემბრამდე პერიოდში ჩატარდა სს „ა“-ს (ს/კ *********) შემოწმება. სს „ა“-ს შემოწმება მოიცავდა ვიდეოთვალთვალის სისტემების მეშვეობით პერსონალური მონაცემების დამუშავების და შენობაში (სამუშაო ადგილზე) შესვლისა და გასვლის აღრიცხვის მიზნით კომპანიაში დასაქმებულ პირთა პერსონალური მონაცემების დამუშავების კანონიერების შესწავლას.

აღწერილობითი ნაწილი

სს „ა“-ს მიერ ვიდეოთვალთვალის სისტემის მეშვეობით პერსონალური მონაცემების დამუშავება

სს „ა“-ს (შემდგომში „კომპანია“) შემოწმების შედეგად გამოვლინდა, რომ კომპანიის სათავო ოფისში (მის.: ქ. თბილისი, თ. *****-ის ქ. №**) და მის სავაჭრო ობიექტებზე (მაღაზიებში) შიდა და გარე პერიმეტრზე ვიდეოთვალთვალის განხორციელების ძირითად მიზანს წარმოადგენს კომპანიის საკუთრების და პირის უსაფრთხოების დაცვა. ვიდეოთვალთვალი მიმდინარეობს სავაჭრო ობიექტების (მაღაზიების) მენეჯერების სამუშაო ოთახებშიც, რადგან ეს ოთახები ასევე განკუთვნილია სავაჭრო ობიექტის პროდუქციის და თანხის შესანახად. გამოსაცვლელ ოთახებსა და ჰიგიენისათვის განკუთვნილ ადგილებში ვიდეოთვალთვალი არ ხორციელდება.

ვიდეოთვალთვალის შესახებ გამაფრთხილებელი ნიშნები განთავსებულია სავაჭრო ობიექტების შესასვლელ კარზე, კომპანიის სათავო ოფისში კი - ვიდეოკამერების განთავსების ადგილებში. სავაჭრო ობიექტებში დასაქმებული პირები წერილობით არიან ინფორმირებულნი სამუშაო ადგილზე ვიდეოთვალთვალის მიმდინარეობისა და მათი

უფლებების შესახებ. კერძოდ, სავაჭრო ობიექტების მენეჯერების ოთახში კედელზე განთავსებულია დოკუმენტი, საიდანაც ირკვევა, რომ დასაქმებულთა უსაფრთხოებისა და კომპანიის საკუთრების დაცვის მიზნებისათვის კომპანიის (სს „ა“-ს) მიერ დასაქმებულთა ცალკეულ სამუშაო ადგილებზე მიმდინარეობს ვიდეოთვალთვალი. ამავე დოკუმენტიდან ირკვევა, რომ ვიდეოთვალთვალისა და მონაცემთა დამუშავების მონიტორინგის უფლებამოსილება მინიჭებული აქვს კომპანიის უსაფრთხოების სამსახურს. მონაცემთა სუბიექტები (სს „ა“-ს დასაქმებულები) უფლებამოსილნი/ვალდებულნი არიან მიიღონ და გაეცნონ ინფორმაციას მათი უფლებების შესახებ დამუშავებულ მონაცემთა თაობაზე, „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად.

სს „ა“-ს შემოწმების შედეგად დადგინდა, რომ როგორც რეალურ დროში, ასევე ვიდეოკამერების მიერ განხორციელებული ჩანაწერების ანალიზის საფუძველზე, საკუთრებისა და პირთა უსაფრთხოების დაცვის მიზნით, კომპანიის ყველა სავაჭრო ობიექტში ვიდეოთვალთვალი მიმდინარეობს 24 საათის განმავლობაში. იმ შემთხვევაში, თუ კომპანიის უსაფრთხოების სამსახურის ოფიცრები მონიტორინგის განხორციელებისას დააფიქსირებენ დასაქმებულის მიერ კომპანიის შრომის შინაგანაწესითა და კორპორატიული ქცევის კოდექსით დადგენილი მომსახურების სტანდარტის დარღვევას (კომპანიის აღმასრულებელი დირექტორის 2013 წლის 01 დეკემბრის №HR 011213/001 ბრძანებით დამტკიცებულია სს „ა“-ს შინაგანაწესი და კორპორატიული ქცევის კოდექსი“), ამის შესახებ აცნობებენ მის უშუალო ხელმძღვანელს (სავაჭრო ობიექტის მენეჯერს).

აღსანიშნავია, რომ კომპანიის უსაფრთხოების სამსახურის ოფიცრების ერთ-ერთი ძირითადი ფუნქცია არის სავაჭრო ობიექტის მოლარე-კონსულტანტების ტექნიკური დახმარება, მაგალითად, როდესაც მოლარე-კონსულტანტები სალაროსთან დამონტაჟებულ შტრიხკოდის სკანერზე ზედმეტად გაატარებენ პროდუქციას ან მომხმარებელი გადაიფიქრებს სკანერზე გატარებული პროდუქციის შეძენას, ოპერაციის გაუქმების მოთხოვნით მოლარე-კონსულტანტები უკავშირდებიან უსაფრთხოების სამსახურის ოფიცრებს. ამის შემდგომ, უსაფრთხოების სამსახურის ოფიცრები აკვირდებიან ვიდეოჩანაწერს, რათა დაადგინონ პროდუქციის შეცდომით გატარების მიზეზი და თუ ასეთ დროს ოფიცერი დააფიქსირებს სავაჭრო ობიექტში დასაქმებულის მიერ შრომის შინაგანაწესის ან ქცევის კოდექსის დარღვევას (მაგალითად, კონსულტანტი მოუწესრიგებელია, მომხმარებელს ეპყრობა უხეშად, მომსახურების დროს სარგებლობს მობილური ტელეფონით და ა.შ.), აღნიშნულის თაობაზე აცნობებს სავაჭრო ობიექტის მენეჯერს. თუკი, უსაფრთხოების სამსახურის ოფიცერი ღამის განმავლობაში (კომპანიის სავაჭრო ობიექტები მუშაობენ 24 საათის განმავლობაში) ვიდეოთვალთვალის სისტემის შედეგად გამოავლენს გადაცდომას, მეორე დღეს სავაჭრო ობიექტის მენეჯერს აცნობებს ღამის განმავლობაში გამოვლენილი შინაგანაწესითა და კორპორატიული ქცევის კოდექსით დადგენილი მომსახურების სტანდარტის დამრღვევი თანამშრომლის ვინაობისა და კონკრეტული დარღვევის შესახებ, ვინაიდან ღამის საათებში მენეჯერები არ იმყოფებიან სავაჭრო ობიექტებზე. თუ დასაქმებული გამოთქვამს პრეტენზიას, რომ მისი მხრიდან ადგილი არ ჰქონია გადაცდომას,

უსაფრთხოების სამსახური მიმართავს კომპანიის ხელმძღვანელს შესაბამისი მოთხოვნით, რის საფუძველზეც ამ თანამშრომელთან ერთად გადამოწმდება ვიდეოჩანაწერის ის კონკრეტული ფრაგმენტი, სადაც დაფიქსირებულია ქცევის წესის ან/და მომსახურების სტანდარტის დარღვევის ფაქტი.

აღსანიშნავია, რომ კომპანიის ყველა სავაჭრო ობიექტში მოქმედებს ობიექტის მენეჯერისა და ადმინისტრატორის თანამდებობა, რომლებიც აკონტროლებენ დასაქმებულების მიერ სამსახურებრივი მოვალეობების შესრულებას, მათ შორის მომხმარებლისათვის გაწეული მომსახურების ხარისხს, ჩაცმულობას და დისციპლინის დაცვას. კონკრეტული დასაქმებულის მიერ ქცევის წესის ან/და მომსახურების სტანდარტის დარღვევის შესახებ ინფორმაციის გამჟღავნება სავაჭრო ობიექტებში დასაქმებული სხვა პირებისთვის არ ხდება.

შემოწმების შედეგად დადგინდა, რომ სს „ა“-ს კუთვნილ რამდენიმე სავაჭრო ობიექტში (№1, №2, №3, №4, №5 მაღაზიებში) ვიდეოთვალთვალის სისტემას აქვს აუდიოჩაწერის ფუნქციაც. კომპანიის წარმომადგენლის განმარტებით, ამგვარი სისტემები შენობებში განთავსებული იყო უფრო ადრე, ვიდრე სს „ა“ დაიწყებდა საქმიანობას. ამჟამად, აუდიოჩამწერი მოწყობილობები არის დაბალი ხარისხის და აუდიოჩანაწერების მეშვეობით ხმის გარჩევა ფაქტობრივად შეუძლებელია. აუდიოჩანაწერების მონიტორინგი არ მიმდინარეობს, რადგანაც არ არსებობს მათი გამოყენების აუცილებლობა. გამონაკლისს წარმოადგენს №1 სავაჭრო ობიექტი, სადაც აუდიოჩანაწერის გარჩევა შესაძლებელია. შემოწმებაზე უფლებამოსილი პირების მიერ შემოწმდა კომპანიის №1 სავაჭრო ობიექტზე განხორციელებული აუდიო-ვიდეო ჩანაწერი და დადგინდა, რომ მიუხედავად დაბალი ხარისხის ჩანაწერისა, ხმისა და საუბრის გარჩევა შესაძლებელია.

სავაჭრო ობიექტებში, სადაც განთავსებულია აუდიოჩაწერის ფუნქციის მქონე ვიდეოთვალთვალის სისტემები, განთავსებულია გამაფრთხილებელი ნიშნები აუდიო-ვიდეო მონიტორინგის მიმდინარეობის შესახებ.

სს „ა“-ს მიერ დასაქმებულთა სამუშაო ადგილზე შესვლისა და გასვლის აღრიცხვა

სს „ა“-ს შემოწმების შედეგად დადგინდა, რომ სავაჭრო ობიექტებში დასაქმებულთა შენობაში (სამუშაო ადგილზე) შესვლა და გასვლა კონტროლდება უშუალოდ სავაჭრო ობიექტის მენეჯერის მიერ, ხოლო კომპანიის სათავო ოფისში - თითის ანაბეჭდის საშუალებით აღრიცხვის სისტემის („Biostar Supremo“-ს ტექნიკური გადაწყვეტილებით) ე.წ. „ტურნიკეტის“ მეშვეობით.

თითის ანაბეჭდის საშუალებით აღრიცხვის სისტემა კომპანიის სათავო ოფისში დამონტაჟდა 2015 წლის 07 დეკემბერს და ამის შემდგომ, ეტაპობრივად განხორციელდა დასაქმებულთა თითის ანაბეჭდების აღრიცხვა. კომპანიის სათავო ოფისში განთავსებულია სამი ე.წ. „ტურნიკეტი“: ოფისის ცენტრალურ შესასვლელში, საწყობებთან და საწარმოსთან. თითის

ანაბეჭდის გამოყენებით აღირიცხება კომპანიის ადმინისტრაციაში და საწარმოში დასაქმებული პირების სამუშაო ადგილზე შესვლისა და სამუშაო ადგილიდან გასვლის დრო. კომპანიის ადმინისტრაციაში დასაქმებულია 146 (ას ორმოცდაექვსი), ხოლო საწარმოში 216 (ორას თექვსმეტი) პირი. აღნიშნულ სისტემას ასევე აქვს დასაქმებულთა შენობაში შესვლისა და შენობიდან გასვლის მაგნიტური ბარათის გამოყენებით აღრიცხვის ფუნქცია, თუმცა კომპანიაში მაგნიტური ბარათებით სარგებლობს მხოლოდ რამდენიმე პირი, რადგან მათ ხშირად უწევთ შენობაში გადაადგილება. შემოწმების ფარგლებში, კომპანიამ თითის ანაბეჭდის საშუალებით აღრიცხვის სისტემის გამოყენების მიზეზად განმარტა, რომ ამ საშუალებით დასაქმებულთა შენობაში შესვლისა და შენობიდან გასვლის აღრიცხვა ნაკლებ დანახარჯებთან არის დაკავშირებული, ვიდრე მაგნიტური ბარათების გამოყენებით, რადგან შესაძლოა დასაქმებულმა დაკარგოს ან დააზიანოს აღნიშნული ბარათი.

რაც შეეხება კომპანიის სავაჭრო ობიექტებს, დასაქმებულთა სამუშაო ადგილზე შესვლა და გასვლა კონტროლდება უშუალოდ სავაჭრო ობიექტის მენეჯერების მიერ და ამ მიზნით მუშავდება პირის სახელი, გვარი, სამუშაოზე მოსვლისა და წასვლის დრო.

შემოწმების ფარგლებში, 2015 წლის 29 დეკემბერს შემოწმებაზე უფლებამოსილი პირის მიერ შედგა ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმები: №0000078; №0000079; №0000080; №0000081; №0000082 „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-4 მუხლის „ბ“, „გ“ ქვეპუნქტების, მე-5, მე-10, მე-12 და მე-14 მუხლების დარღვევისათვის, რასაც კომპანიის წარმომადგენელი არ დაეთანხმა.

სამოტივაციო ნაწილი

1. *პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორმა იმსჯელა სს „ა“-ს მიერ სათავო ოფისში და სავაჭრო ობიექტებში განხორციელებული აუდიო-ვიდეო მონიტორინგის „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონთან შესაბამისობის შესახებ.*

„პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-2 მუხლის „დ“ პუნქტის შესაბამისად, მონაცემთა დამუშავება განმარტებულია როგორც ავტომატური, ნახევრად ავტომატური ან არაავტომატური საშუალებების გამოყენებით მონაცემთა მიმართ შესრულებული ნებისმიერი მოქმედება, კერძოდ, შეგროვება, ჩაწერა, ფოტოზე აღბეჭდვა, აუდიოჩაწერა, ვიდეოჩაწერა, ორგანიზება, შენახვა, შეცვლა, აღდგენა, გამოთხოვა, გამოყენება ან გამჟღავნება მონაცემთა გადაცემის, გავრცელების ან სხვაგვარად ხელმისაწვდომად გახდომის გზით, დაჯგუფება ან კომბინაცია, დაბლოკვა, წაშლა ან განადგურება. ამავე მუხლის „ა“ პუნქტით კი განმარტებულია, თუ რას წარმოადგენს პერსონალური მონაცემი, საიდანაც ნათლად იკვეთება, რომ პირი ითვლება იდენტიფიცირებულად, როდესაც იდენტიფიცირების შესაძლებლობა არსებობს სხვადასხვა ნიშნებით, მათ შორის ფიზიკური თუ ფიზიოლოგიური ნიშნით. ამდენად, სს „ა“-ს მიერ სათავო ოფისში და სავაჭრო

ობიექტებში ვიდეოთვალთვალის სისტემების მეშვეობით ხდება როგორც დასაქმებულთა, ასევე კომპანიის პროდუქციის მომხმარებელთა პერსონალური მონაცემების დამუშავება.

„პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-12 მუხლის თანახმად, საჯარო და კერძო დაწესებულებებს შესაბამისი მონიტორინგის განხორციელების მიზნით შეუძლიათ განახორციელონ თავიანთი შენობების ვიდეოთვალთვალი, თუ ეს აუცილებელია პირის უსაფრთხოებისა და საკუთრების დაცვის, არასრულწლოვანის მავნე ზეგავლენისაგან დაცვისა და საიდუმლო ინფორმაციის დაცვის მიზნებისათვის. მონაცემთა დამმუშავებელი ვალდებულია თვალსაჩინო ადგილას განათავსოს შესაბამისი გამაფრთხილებელი ნიშანი. სამუშაო ადგილზე კი, ვიდეოთვალთვალის სისტემის დაყენება შეიძლება მხოლოდ გამონაკლის შემთხვევაში, თუ ეს აუცილებელია პირის უსაფრთხოებისა და საკუთრების დაცვის, ასევე საიდუმლო ინფორმაციის დაცვის მიზნებისათვის და თუ ამ მიზნების სხვა საშუალებით მიღწევა შეუძლებელია. ამავე მუხლით დადგენილია, რომ ვიდეოთვალთვალის განხორციელება დაუშვებელია გამოსაცვლელ ოთახებსა და ჰიგიენისათვის განკუთვნილ ადგილებში.

სს „ა“-ს შემოწმების შედეგად გამოვლინდა, რომ კომპანიის სათავო ოფისში და მის სავაჭრო ობიექტებზე შიდა და გარე პერიმეტრზე საკუთრების და პირის უსაფრთხოების დაცვის მიზნით ხორციელდება ვიდეოთვალთვალი. ვიდეოთვალთვალი მიმდინარეობს სავაჭრო ობიექტების (მაღაზიების) მენეჯერების სამუშაო ოთახებშიც, ვინაიდან, ეს ოთახები განკუთვნილია სავაჭრო ობიექტის პროდუქციის და თანხის შესანახად. გამოსაცვლელ ოთახებსა და ჰიგიენისათვის განკუთვნილ ადგილებში ვიდეოთვალთვალი არ ხორციელდება. ვიდეოთვალთვალის შესახებ გამაფრთხილებელი ნიშნები განთავსებულია სავაჭრო ობიექტების შესასვლელ კარზე, კომპანიის სათავო ოფისში კი - ვიდეოკამერების განთავსების ადგილებში. სავაჭრო ობიექტებში დასაქმებული პირები წერილობით არიან ინფორმირებულნი სამუშაო ადგილზე ვიდეოთვალთვალის მიმდინარეობისა და მათი უფლებების შესახებ.

სს „ა“-ს შემოწმების შედეგად ასევე დადგინდა, რომ იმ შემთხვევაში, თუ კომპანიის უსაფრთხოების სამსახურის ოფიცრები ვიდეომონიტორინგის განხორციელებისას დააფიქსირებენ სავაჭრო ობიექტში დასაქმებულის მიერ კომპანიის შრომის შინაგანაწესითა და კორპორატიული ქცევის კოდექსით დადგენილ მომსახურების სტანდარტის დარღვევას, ამის შესახებ რეაგირების მიზნით აცნობებენ დასაქმებულის უშუალო ხელმძღვანელს. აღსანიშნავია, რომ კომპანიის მიერ ვიდეოთვალთვალის თავდაპირველი მიზანი არ არის დასაქმებულთა მიერ მომსახურების გაწევის კონტროლი. მომსახურების სტანდარტის დარღვევის შესახებ მონაცემების დამუშავება ხდება მხოლოდ იმ შემთხვევებში, როდესაც უსაფრთხოების სამსახურის ოფიცრები სამართალდამცავი ორგანოებისათვის გადაცემის ან სავაჭრო ობიექტის მოლარე-კონსულტანტების ტექნიკური დახმარების მიზნით ათვალიერებენ ვიდეოჩანაწერებს და ამ დროს დააფიქსირებენ დასაქმებულის მიერ შრომის შინაგანაწესის ან ქცევის კოდექსის დარღვევას. მიუხედავად ამ გარემოებისა, სს „ა“-ს მიერ

ვიდეოჩანაწერების გამოყენება დასაქმებულთა კონტროლის (შრომის შინაგანაწესითა და კორპორატიული ქცევის კოდექსით დადგენილი მომსახურების სტანდარტის დარღვევების გამოვლენის და მასზე რეაგირების) მიზნით, ვერ იქნება განხილული „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-12 მუხლის შესაბამისად. კერძოდ, აღნიშნული მუხლის მე-3 პუნქტით ცალსახად არის განსაზღვრული სამუშაო ადგილზე ვიდეოთვალთვალის განხორციელების მიზნები - სამუშაო ადგილზე ვიდეოთვალთვალის სისტემის დაყენების მიზანს შეიძლება წარმოადგენდეს მხოლოდ პირის უსაფრთხოებისა და საკუთრების და ასევე საიდუმლო ინფორმაციის დაცვა და აღნიშნული მიზნების სხვა საშუალებით მიღწევა უნდა იყოს შეუძლებელი. კომპანიის მიერ თანამშრომელთა კონტროლის მიზნით ვიდეოჩანაწერების გამოყენება კი, ცალსახად სცდება კანონის მე-12 მუხლის მე-3 პუნქტით დადგენილ მონაცემთა დამუშავების მიზნებს.

ამასთან, „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-4 მუხლის „ბ“ პუნქტის თანახმად, მონაცემები შეიძლება დამუშავდეს მხოლოდ კონკრეტული, მკაფიოდ განსაზღვრული, კანონიერი მიზნებისათვის. დაუშვებელია მონაცემთა შემდგომი დამუშავება სხვა, თავდაპირველ მიზანთან შეუთავსებელი მიზნით. „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-12 მუხლის მე-3 პუნქტით პირდაპირ არის განსაზღვრული სამუშაო ადგილზე ვიდეოთვალთვალის განხორციელების კანონიერი მიზნები - ის გამონაკლისი შემთხვევები, რომელთა არსებობისას სამუშაო ადგილზე ვიდეოთვალთვალი დასაშვებია. სს „ა“-ს მიერ ვიდეოჩანაწერის გამოყენების მიზანი - დასაქმებულთა კონტროლი კი, ვერ განიხილება ზემოაღნიშნული მუხლით დადგენილ გამონაკლის შემთხვევად. ამდენად, სს „ა“-ს მიერ ადგილი აქვს ვიდეოჩანაწერის გამოყენებას მონაცემთა დამუშავების თავდაპირველ მიზანთან (საკუთრების და პირის უსაფრთხოების დაცვა) შეუთავსებელი მიზნით - დასაქმებულთა კონტროლის მიზნით.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სს „ა“-ს მიერ ადგილი აქვს „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-12 მუხლის მე-3 პუნქტით დადგენილი წესის დარღვევას.

რაც შეეხება სს „ა“-ს მიერ აუდიოჩაწერის განხორციელების კანონიერების საკითხს, შემოწმების შედეგად დადგინდა, რომ სს „ა“-ს კუთვნილ რამდენიმე სავაჭრო ობიექტში ვიდეოთვალთვალის სისტემას აქვს აუდიოჩაწერის ფუნქციაც. აღნიშნული სისტემები შესაბამის ობიექტებზე დამონტაჟებული იყო იმაზე ადრე, ვიდრე სს „ა“ დაიწყებდა საქმიანობას აღნიშნულ ობიექტებში. ზოგიერთი აუდიოჩამწერი სისტემა მწყობრიდან არის გამოსული, აუდიოჩანაწერების მეშვეობით ხმისა და საუბრის გარჩევა შესაძლებელია მხოლოდ ერთ სავაჭრო ობიექტში. თუმცა, ვინაიდან არ არსებობს აუდიოჩანაწერების გამოყენების აუცილებლობა, სს „ა“-ს მიერ აღნიშნულ ობიექტზე აუდიოჩაწერის შედეგად მოპოვებული მონაცემების მონიტორინგი არ მიმდინარეობს.

„პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-2 მუხლის „ი“ პუნქტის თანახმად, მონაცემთა დამმუშავებელი არის საჯარო დაწესებულება, ფიზიკური ან

იურიდიული პირი, რომელიც ინდივიდუალურად ან სხვებთან ერთად განსაზღვრავს პერსონალურ მონაცემთა დამუშავების მიზნებსა და საშუალებებს, უშუალოდ ან უფლებამოსილი პირის მეშვეობით ახორციელებს მონაცემთა დამუშავებას. აღნიშნულ შემთხვევაში, სს „ა“-ს არ გააჩნია აუდიოჩაწერის განხორციელების მიზანი, თუმცა აუდიოჩაწერის გზით მონაცემთა დამუშავება მიმდინარეობს. კომპანიის მფლობელობაში არსებულ სავაჭრო ობიექტებში აუდიოჩაწერის სისტემების მიერ აუდიოჩაწერის განხორციელების საჭიროება არ არსებობს, ამდენად, მიზანშეწონილია, აუდიოჩაწერის გზით მონაცემთა დამუშავების შეწყვეტა.

2. *პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორმა იმსჯელა სს „ა“-ს მიერ კომპანიის სათავო ოფისში და სავაჭრო ობიექტებში დასაქმებულთა სამუშაო ადგილზე შესვლისა და გასვლის აღრიცხვის წესის „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონთან შესაბამისობის შესახებ.*

„პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-2 მუხლის „გ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, ბიომეტრიული მონაცემი განმარტებულია როგორც ფიზიკური, ფსიქიკური ან ქცევის მახასიათებელი, რომელიც უნიკალური და მუდმივია თითოეული ფიზიკური პირისათვის და რომლითაც შესაძლებელია ამ პირის იდენტიფიცირება (თითის ანაბეჭდი, ტერფის ანაბეჭდი, თვალის ფერადი გარსი, თვალის ბადურის გარსი (თვალის ბადურის გამოსახულება), სახის მახასიათებელი). ამავე მუხლის „დ“ პუნქტის შესაბამისად კი, მონაცემთა დამუშავება არის ავტომატური, ნახევრად ავტომატური ან არაავტომატური საშუალებების გამოყენებით მონაცემთა მიმართ შესრულებული ნებისმიერი მოქმედება, კერძოდ, შეგროვება, ჩაწერა, ფოტოზე აღბეჭდვა, აუდიოჩაწერა, ვიდეოჩაწერა, ორგანიზება, შენახვა, შეცვლა, აღდგენა, გამოთხოვა, გამოყენება ან გამჟღავნება მონაცემთა გადაცემის, გავრცელების ან სხვაგვარად ხელმისაწვდომად გახდომის გზით, დაჯგუფება ან კომბინაცია, დაბლოკვა, წაშლა ან განადგურება.

ამდენად, სს „ა“ თითის ანაბეჭდის საშუალებით აღრიცხვის სისტემის მეშვეობით დასაქმებულთა შესახებ თითის ანაბეჭდების შეგროვების, შენახვის, გამოყენების გზით, დასაქმებულთა შენობაში (სამუშაო ადგილზე) შესვლის და გასვლის აღრიცხვის მიზნით, ამუშავებს ბიომეტრიულ მონაცემებს.

ბიომეტრიული მონაცემების ხასიათიდან გამომდინარე, მათი დამუშავება კერძო სამართლის იურიდიული პირებისა და ფიზიკური პირების მიერ შეზღუდულია და დამუშავების წესი სპეციალურად არის განსაზღვრული „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-10 მუხლით. აღნიშნული მუხლის თანახმად, კერძო სამართლის იურიდიული პირისა და ფიზიკური პირის მიერ ბიომეტრიულ მონაცემთა დამუშავება შეიძლება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ეს აუცილებელია საქმიანობის განხორციელების, უსაფრთხოებისა და საკუთრების დაცვის, აგრეთვე საიდუმლო ინფორმაციის გამჟღავნების

თავიდან აცილების მიზნებისათვის, თუ ამ მიზნების სხვა საშუალებით მიღწევა შეუძლებელია ან გაუმართლებლად დიდ ძალისხმევას საჭიროებს. შემოწმების ფარგლებში, სს „ა“-ს დასაქმებულთა ბიომეტრიული მონაცემების კომპანიის უსაფრთხოებისა და საკუთრების დაცვის, საიდუმლო ინფორმაციის გამჟღავნების თავიდან აცილების მიზნით გამოყენების საჭიროების შესახებ არ განუცხადებია. სს „ა“-ს ასევე არ მიუთითებია იმის შესახებ, რომ დასაქმებულთა ბიომეტრიული მონაცემების დამუშავება აუცილებელია მის მიერ საქმიანობის განხორციელებისათვის. ამდენად, მხოლოდ დასაქმებულთა შენობაში შესვლა/გასვლის აღრიცხვის მიზნით, მითუმეტეს როდესაც სხვა საშუალებებით, გაუმართლებლად დიდი ძალისხმევის გარეშე შესაძლებელია ამავე მიზნის მიღწევა, ბიომეტრიული მონაცემის დამუშავება არ შეესაბამება „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის ზემოაღნიშნულ დანაწესს.

ვინაიდან, ბიომეტრიული მონაცემების დამუშავების საფუძვლები მკაფიოდ არის დადგენილი კანონით, ხოლო სს „ა“-ს დასაქმებულთა შესახებ ბიომეტრიულ მონაცემებს ამუშავებს აღნიშნული საფუძვლების არსებობის გარეშე, სს „ა“-ს მიერ ადგილი აქვს ბიომეტრიული მონაცემების დამუშავებას „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-10 მუხლის მოთხოვნების დარღვევით, რაც წარმოადგენს ამავე კანონის 43-ე მუხლით გათვალისწინებული ადმინისტრაციული პასუხისმგებლობის დაკისრების საფუძველს.

ამავდროულად, ზემოაღნიშნული კანონის მე-14 მუხლი ამომწურავად განსაზღვრავს იმ მონაცემებს, რომელთა შეგროვებაც დასაშვებია საჯარო და კერძო დაწესებულებების მიერ შენობაში შესვლისა და შენობიდან გასვლის აღრიცხვის მიზნით. ესენია: სახელი, საიდენტიფიკაციო დოკუმენტის ნომერი და სახე, მისამართი, შესვლისა და გასვლის თარიღი და დრო, შენობაში შესვლისა და შენობიდან გასვლის მიზეზი. აქედან გამომდინარე, სს „ა“-ს მიერ დასაქმებულთა შენობაში (სამუშაო ადგილზე) შესვლისა და გასვლის აღრიცხვისას ბიომეტრიული მონაცემის დამუშავებით დარღვეულია „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-14 მუხლის მოთხოვნაც, რაც ამავე კანონის 49-ე მუხლით გათვალისწინებული ადმინისტრაციული პასუხისმგებლობის დაკისრების საფუძველს წარმოადგენს.

აღსანიშნავია ის გარემოებაც, რომ სს „ა“-ს დასაქმებულთა შენობაში შესვლისა და შენობიდან გასვლის აღრიცხვა შეუძლია სხვა ალტერნატიული საშუალებითაც - მაგნიტური ბარათების გამოყენებით. აღნიშნული მეთოდი კი, გულისხმობს ნაკლები მოცულობით (ბიომეტრიული მონაცემების დამუშავების გარეშე) პერსონალური მონაცემების დამუშავებას. „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის მე–4 მუხლის „გ“ პუნქტის თანახმად, მონაცემები შეიძლება დამუშავდეს მხოლოდ იმ მოცულობით, რომელიც აუცილებელია შესაბამისი კანონიერი მიზნის მისაღწევად. მონაცემები უნდა იყოს იმ მიზნის ადეკვატური და პროპორციული, რომლის მისაღწევადაც მუშავდება ისინი. სს „ა“-ს პოზიცია, რომ მაგნიტური ბარათების გამოყენება ბევრად უფრო მეტ დანახარჯთან არის დაკავშირებული,

ვიდრე ამას მოითხოვს ბიომეტრიული სკანერის - თითის ანაბეჭდის საშუალებით აღრიცხვის სისტემა, რადგან შესაძლოა დასაქმებულმა დაკარგოს ან დააზიანოს აღნიშნული ბარათი, ვერ იქნება გაზიარებული შემდეგი გარემოებების გამო:

1. „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-10 და მე-14 მუხლები ნათლად და ამომწურავად ადგენენ როგორც ბიომეტრიული მონაცემების დამუშავების წესს, ასევე შენობაში შესვლისა და გასვლის აღრიცხვის წესს და ამ მიზნით პერსონალური მონაცემების დამუშავების დასაშვებ მოცულობას. აღნიშნული ნორმები კი, არ ითვალისწინებენ ბიომეტრიული მონაცემის დამუშავების შესაძლებლობას შენობაში შესვლისა და გასვლის აღრიცხვის მიზნით;

2. ის გარემოება, რომ თითის ანაბეჭდის საშუალებით აღრიცხვის სისტემა ადვილი და იაფი მეთოდია, არ გულისხმობს, რომ მისი გამოყენება დასაშვებია კანონის მოთხოვნათა დარღვევით და ადამიანთა პირად ცხოვრებაში ჩარევის ხარჯზე. ნებისმიერი კომპანიის საქმიანობა და ბიზნესპროცესი უნდა შეესაბამებოდეს მოქმედ საკანონმდებლო რეგულაციებს.

3. „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-10 მუხლი ადგენს, რომ ბიომეტრიულ მონაცემთა გამოყენებამდე მონაცემთა დამმუშავებელმა პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორს უნდა მიაწოდოს იგივე ინფორმაცია, რომელიც მიეწოდება მონაცემთა სუბიექტს, კერძოდ, მონაცემთა დამუშავების მიზნისა და მონაცემთა დასაცავად მიღებული უსაფრთხოების ზომების შესახებ. ბიომეტრიული მონაცემებით აღრიცხვის სისტემა კომპანიამ დაამონტაჟა 2015 წლის ბოლოს, ამდენად, კომპანია ვალდებული იყო აღნიშნული სისტემის დამონტაჟებამდე ეცნობებინა ინსპექტორისთვის ბიომეტრიულ მონაცემთა დამუშავების მიზნისა და მონაცემთა დასაცავად მიღებული უსაფრთხოების ზომების შესახებ, რაც მის მიერ არ განხორციელებულა. კომპანიას ასევე შეეძლო პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორის აპარატისგან მიეღო წინასწარი კონსულტაცია მონაცემთა დამუშავების კანონიერებასთან დაკავშირებით.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სს „ა“-ს მიერ სათავო ოფისში ბიომეტრიული მონაცემის, კერძოდ თითის ანაბეჭდის დამუშავება დასაქმებულთა შენობაში შესვლისა და შენობიდან გასვლის აღრიცხვის მიზნით, ასევე წარმოადგენს მიზნის არაპროპორციულად მონაცემების დამუშავებას, რაც ეწინააღმდეგება „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-4 მუხლის „გ“ პუნქტით დადგენილ მონაცემთა დამუშავების პროპორციულობის პრინციპს და ამავე კანონის 44-ე მუხლით გათვალისწინებული ადმინისტრაციული პასუხისმგებლობის დაკისრების საფუძველია.

რაც შეეხება სს „ა“-ს მიერ სავაჭრო ობიექტებში დასაქმებულთა სამუშაო ადგილზე შესვლისა და გასვლის აღრიცხვის წესს, შემოწმების შედეგად დადგინდა, რომ დასაქმებულთა სამუშაო ადგილზე შესვლა და გასვლა კონტროლდება უშუალოდ სავაჭრო ობიექტის მენეჯერების მიერ და აღნიშნული მიზნით მუშავდება პირის სახელი, გვარი, სამუშაოზე მოსვლისა და

წასვლის დრო. ამდენად, სს „ა“-ს მიერ სავაჭრო ობიექტებში დასაქმებულთა სამუშაო ადგილზე შესვლისა და გასვლის აღრიცხვის წესი შესაბამისობაშია „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-14 მუხლის დანაწესთან.

„პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის 55-ე მუხლის თანახმად, ინსპექტორის მიერ უფლებამოსილი პირი ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმს ადგენს და საქმეს განიხილავს საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსით დადგენილი წესით. საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 36-ე მუხლის თანახმად კი, თუ პირმა ჩაიდინა რამდენიმე ადმინისტრაციული სამართალდარღვევა, რომელთა საქმეებს ერთდროულად განიხილავს ერთი და იგივე ორგანო (თანამდებობის პირი), სახდელი დაედება იმ სანქციის ფარგლებში, რომელიც დაწესებულია უფრო სერიოზული დარღვევებისათვის. ამ შემთხვევაში ძირითად სახდელს შეიძლება დაემატოს ერთ-ერთი დამატებითი სახდელთაგანი, რომლებსაც ითვალისწინებენ რომელიმე ჩადენილი სამართალდარღვევისათვის პასუხისმგებლობის დამდგენი მუხლები.

ყოველივე ზემოაღნიშნულის, საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 36-ე მუხლის და „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-2, მე-4, მე-5, მე-12, 27-ე, 35-ე, 39-ე, 43-ე, 44-ე, 48-ე, 49-ე და 55-ე მუხლების საფუძველზე,

ინსპექტორმა გადაწყვიტა:

1. სს „ა“ (ს/კ *********) ცნობილ იქნას სამართალდამრღვევად „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის 43-ე, 44-ე, 48-ე და 49-ე მუხლების პირველი პუნქტებით გათვალისწინებული ადმინისტრაციული სამართალდარღვევების ჩადენაში და ადმინისტრაციული სახდელის სახით შეეფარდოს ჯარიმა 500 (ხუთასი) ლარის ოდენობით;
2. ჯარიმის გადახდა გადაწყვეტილების ჩაბარებიდან 30 დღის განმავლობაში უნდა მოხდეს შემდეგ ანგარიშზე ჩარიცხვით: სახაზინო კოდი/ანგარიშის ნომერი 302003242, ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის №0000078; №0000079; №0000080; №0000082.
3. სს „ა“-ს დაევალოს არაუგვიანეს 2016 წლის 01 მაისისა:
   3.1. შეწყვიტოს ბიომეტრიული მონაცემის, კერძოდ თითის ანაბეჭდის დამუშავება დასაქმებულთა შენობაში შესვლისა და შენობიდან გასვლის აღრიცხვის მიზნით;
   3.2. შეწყვიტოს სავაჭრო ობიექტებში აუდიოჩაწერა და ვიდეოჩანაწერების გამოყენება დასაქმებულთა კონტროლის მიზნით;
   3.3. უზრუნველყოს ამ გადაწყვეტილების გაცნობა სს „ა“-ში დასაქმებული პირებისთვის;

3.4. არაუგვიანეს 2015 წლის 10 მაისისა აცნობოს პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორს გატარებული ღონისძიებების შესახებ და წარმოადგინოს დასაქმებული პირებისთვის გადაწყვეტილების გაცნობის დამადასტურებელი დოკუმენტი;

4. სს „ა“-ს ეცნობოს მიღებული გადაწყვეტილების შესახებ;

5. გადაწყვეტილება შესაძლებელია გასაჩივრდეს მხარეთა მიერ თბილისის საქალაქო სასამართლოში (ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კილომეტრი №6) ოფიციალური წესით გაცნობის დღიდან 10 (ათი) დღის ვადაში.

თამარ ქალდანი

პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორი